2023 წ.

# ოპერატიული ინფორმაცია
# 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარ-მარტი)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მარტის შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2023 წლის 26 აპრილისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, აპრილი, 2023 წ.

## საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმოხილვა

2023 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება **4,896.7** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,914.2 მლნ ლარი) 22.3%-ს და 3 თვის გეგმის[1] (4,733.3 მლნ ლარი) 103.5%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 70.5 მლნ ლარით (1.5%-ით) აღემატება.

**გადასახდელების** შესრულება **4,655.3** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,880.1 მლნ ლარი) 21.3%-ს და 3 თვის გეგმის (4,835.7 მლნ ლარი) 96.3%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვრ-მარტის მაჩვენებელს 388.9 მლნ ლარით (9.1%-ით) აჭარბებს.

2014-2023 წწ.შემოსულობებისა და გადასახდელების 3 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)




შესაბამისად, იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება** (დაგროვება) **241.4** მლნ ლარს შეადგენს. წლის დასაწყისისათვის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.6 მლნ ლარი, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 1,488.9 მლნ ლარის ოდენობით.

2014-2023 წწ. 3 თვის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)




რაც შეეხება **შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით,** 3 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება შემოსავლების (102.0%), ფინანსური და არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტები (შესაბამისად, 103.8% და 106.0%), ხოლო ვალდებულებების ზრდის კომპონენტის შესრულება გამოირჩევა მაღალი დონით (125.2%).

**გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით,** ხარჯების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 95.0%-ს უტოლდება, შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს - 3 თვის გეგმის 113.2%, ვალდებულებების კლებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები კი შესრულების დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 3 თვის გეგმის 89.6% და 62.2%).

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 3 თვის გეგმა | 3 თვის შესრულება | 3 თვე / 3 თვის გეგმა | დასახელება | 2023 წლის გეგმა | 3 თვის გეგმა | 3 თვის შესრულება | 3 თვე / 3 თვის გეგმა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **21,914.2** | **4,733.3** | **4,896.7** | **103.5%** | **გადასახდელები** | **21,880.1** | **4,835.7** | **4,655.3** | **96.3%** |
| შემოსავლები | 17,619.9 | 4,335.8 | 4,422.8 | **102.0%** | ხარჯები | 16,335.2 | 3,964.4 | 3,764.3 | **95.0%** |
| არაფინანსური აქტივების კლება | 200.0 | 28.0 | 29.7 | **106.0%** | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,881.3 | 515.4 | 583.2 | **113.2%** |
| ფინანსური აქტივების კლება | 450.0 | 86.5 | 89.7 | **103.8%** | ფინანსური აქტივების ზრდა | 445.1 | 40.9 | 25.4 | **62.2%** |
| ვალდებულებების ზრდა | 3,644.3 | 283.0 | 354.4 | **125.2%** | ვალდებულებების კლება | 1,218.5 | 315.1 | 282.4 | **89.6%** |

[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდოსა** და **მთლიან სალდოს,** 2023 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა **658.5** მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - **105.0** მლნ ლარი.

2014-2023 წლების 3 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)




შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, **გადასახადების** მიმოხილვა, რაზეც იანვარ-მარტში მიღებული შემოსავლების 93.0% და მთლიანი შემოსულობების 84.0% მოდის. კერძოდ, 3 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 4,113.0 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 100.3%-ს და წლიური გეგმის 25.2%-ს შეადგენს, რაც უკავშირდება საშემოსავლო გადასახადის (3 თვის გეგმის 112.5%), დღგ-ის (107.2%) და აქციზის (130.4%) მობილიზების მაღალ მაჩვენებლებს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 425.0 მლნ ლარით (11.5%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად 26.4%-იანი და 21.5%-იანი მატების გავლენით.

2022-2023 წწ.3 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)




გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, **ხარჯების,** შესრულებამ იანვარ-მარტში შეადგინა **3,764.3** მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 95.0% და წლიური გეგმის 23.0%. ცალკეული სახეების მიხედვით, ხარჯების შესრულებაში, 3 თვის გეგმასთან მიმართებით, შედარებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სოციალური უზრუნველყოფის მუხლი (101.3%). კარგი მაჩვენებლით ხასიათდება სუბსიდიების (97.3%), პროცენტის (95.3%), და სხვა ხარჯების (94.7%) მუხლები, ხოლო შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება შრომის ანაზღაურების (91.5%), საქონლისა და მომსახურების (84.2%) და გრანტების (82.8%) მუხლები. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 329.7 მლნ ლარით (9.6%-ით) გაზრდილია, ძირითადად, პროცენტის მუხლით ხარჯების (130.1 მლნ ლარით) მატების გავლენით.

2022-2023 წწ.3 თვის ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| დასახელება | 2021 წლის 3 თვის შესრულება | 2022 წლის 3 თვის შესრულება | 2023 წლის წლიური გეგმა | 2023 წლის 3 თვის გეგმა* | 2023 წლის 3 თვის შესრულება | 2023 წლის 3 თვის შესრულება / 2023 წლის 3 თვის გეგმა | | 2023 წლის 3 თვის შესრულება / 2022 წლის 3 თვის შესრულება | | 2023 წლის 3 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სხვაობა | % | სხვაობა | %-ული ცვლილება | |
| **შემოსულობები** | **4,339.6** | **4,826.1** | **21,914.2** | **4,733.3** | **4,896.7** | **163.4** | **103.5%** | **70.5** | **1.5%** | **22.3%** |
| **შემოსავლები** | **3,010.6** | **4,000.4** | **17,619.9** | **4,335.8** | **4,422.8** | **87.1** | **102.0%** | **422.5** | **10.6%** | **25.1%** |
| **გადასახადები** | **2,661.3** | **3,688.1** | **16,290.4** | **4,099.3** | **4,113.0** | **13.8** | **100.3%** | **425.0** | **11.5%** | **25.2%** |
| საშემოსავლო გადასახადი | 779.5 | 1,126.4 | 5,140.0 | 1,266.0 | 1,424.0 | 158.0 | 112.5% | 297.6 | 26.4% | 27.7% |
| მოგების გადასახადი | 430.0 | 690.0 | 2,000.0 | 695.0 | 671.1 | -23.9 | 96.6% | -18.9 | -2.7% | 33.6% |
| დღგ | 976.4 | 1,305.1 | 6,670.4 | 1,478.3 | 1,585.4 | 107.1 | 107.2% | 280.3 | 21.5% | 23.8% |
| აქციზი | 306.7 | 319.8 | 2,100.0 | 333.0 | 434.1 | 101.1 | 130.4% | 114.3 | 35.7% | 20.7% |
| იმპორტის გადასახადი | 17.0 | 22.4 | 130.0 | 25.0 | 32.1 | 7.1 | 128.4% | 9.7 | 43.5% | 24.7% |
| სხვა გადასახადები | 151.8 | 224.4 | 250.0 | 302.0 | -33.7 | -335.7 | -11.2% | -258.1 | -115.0% | -13.5% |
| **გრანტები** | **201.5** | **164.3** | **279.6** | **87.4** | **114.9** | **27.5** | **131.4%** | **-49.5** | **-30.1%** | **41.1%** |
| **სხვა შემოსავლები** | **147.8** | **148.0** | **1,050.0** | **149.1** | **194.9** | **45.8** | **130.7%** | **47.0** | **31.7%** | **18.6%** |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **18.7** | **34.86** | **200.0** | **28.0** | **29.7** | **1.7** | **106.0%** | **-5.2** | **-14.8%** | **14.8%** |
| **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)** | **20.0** | **20.5** | **450.0** | **86.5** | **89.7** | **3.2** | **103.8%** | **69.2** | **337.0%** | **19.9%** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **1,290.3** | **770.3** | **3,644.3** | **283.0** | **354.4** | **71.4** | **125.2%** | **-416.0** | **-54.0%** | **9.7%** |
| საგარეო | 1,551.4 | 358.9 | 2,244.3 | 218.0 | 291.6 | 73.6 | 133.8% | -67.3 | -18.8% | 13.0% |
| საშინაო | -261.1 | 411.4 | 1,400.0 | 65.0 | 62.8 | -2.2 | 96.6% | -348.6 | -84.7% | 4.5% |
| | | | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | **3,929.6** | **4,266.4** | **21,880.1** | **4,835.7** | **4,655.3** | **-180.4** | **96.3%** | **388.9** | **9.1%** | **21.3%** |
| **ხარჯები** | **3,102.8** | **3,434.6** | **16,335.2** | **3,964.4** | **3,764.3** | **-200.0** | **95.0%** | **329.7** | **9.6%** | **23.0%** |
| შრომის ანაზღაურება | 409.9 | 433.3 | 2,236.7 | 556.3 | 509.3 | -47.0 | 91.5% | 76.0 | 17.5% | 22.8% |
| საქონელი და მომსახურება | 335.9 | 415.0 | 2,025.5 | 508.8 | 428.3 | -80.4 | 84.2% | 13.3 | 3.2% | 21.1% |
| პროცენტი | 181.5 | 177.1 | 1,201.0 | 322.2 | 307.2 | -15.0 | 95.3% | 130.1 | 73.4% | 25.6% |
| სუბსიდიები | 158.1 | 171.0 | 927.6 | 226.3 | 220.2 | -6.1 | 97.3% | 49.2 | 28.8% | 23.7% |
| გრანტები | 108.8 | 148.6 | 1,275.8 | 256.5 | 212.5 | -44.0 | 82.8% | 64.0 | 43.1% | 16.7% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,469.6 | 1,506.9 | 6,447.9 | 1,560.4 | 1,581.4 | 21.0 | 101.3% | 74.5 | 4.9% | 24.5% |
| სხვა ხარჯები | 438.9 | 582.8 | 2,220.7 | 533.9 | 505.4 | -28.5 | 94.7% | -77.4 | -13.3% | 22.8% |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **454.3** | **545.3** | **3,881.3** | **515.4** | **583.2** | **67.8** | **113.2%** | **37.9** | **7.0%** | **15.0%** |
| **ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)** | **76.2** | **12.3** | **445.1** | **40.9** | **25.4** | **-15.4** | **62.2%** | **13.2** | **107.2%** | **5.7%** |
| **ვალდებულებების კლება** | **296.4** | **274.2** | **1,218.5** | **315.1** | **282.4** | **-32.7** | **89.6%** | **8.1** | **3.0%** | **23.2%** |
| საგარეო | 264.7 | 261.4 | 1,175.6 | 302.2 | 269.7 | -32.5 | 89.3% | 8.3 | 3.2% | 22.9% |
| საშინაო | 31.7 | 12.9 | 42.9 | 12.9 | 12.6 | -0.3 | 97.8% | -0.2 | -1.7% | 29.4% |
| | | | | | | | | | | |
| **ნაშთის ცვლილება** (+ დაგროვება / – გამოყენება) | **410.0** | **559.7** | **34.1** | **-102.4** | **241.4** | **207.3** | | **-318.4** | | |

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური გაწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება)

# დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

| ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ | 2021 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2022 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2023 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2022 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲒᲔᲒᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | % | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | %-ᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ | |
| **ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ** | **3,010.6** | **4,000.4** | **17,619.9** | **4,335.8** | **4,422.8** | **87.1** | **102.0%** | **422.5** | **10.6%** | **25.1%** |
| გადასახადები | 2,661.3 | 3,688.1 | 16,290.4 | 4,099.3 | 4,113.0 | 13.8 | 100.3% | 425.0 | 11.5% | 25.2% |
| გრანტები | 201.5 | 164.3 | 279.6 | 87.4 | 114.9 | 27.5 | 131.4% | -49.5 | -30.1% | 41.1% |
| სხვა შემოსავლები | 147.8 | 148.0 | 1,050.0 | 149.1 | 194.9 | 45.8 | 130.7% | 47.0 | 31.7% | 18.6% |
| **ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ** | **3,102.8** | **3,434.6** | **16,335.2** | **3,964.4** | **3,764.3** | **-200.0** | **95.0%** | **329.7** | **9.6%** | **23.0%** |
| შრომის ანაზღაურება | 409.9 | 433.3 | 2,236.7 | 556.3 | 509.3 | -47.0 | 91.5% | 76.0 | 17.5% | 22.8% |
| საქონელი და მომსახურება | 335.9 | 415.0 | 2,025.5 | 508.8 | 428.3 | -80.4 | 84.2% | 13.3 | 3.2% | 21.1% |
| პროცენტი | 181.5 | 177.1 | 1,201.0 | 322.2 | 307.2 | -15.0 | 95.3% | 130.1 | 73.4% | 25.6% |
| სუბსიდიები | 158.1 | 171.0 | 927.6 | 226.3 | 220.2 | -6.1 | 97.3% | 49.2 | 28.8% | 23.7% |
| გრანტები | 108.8 | 148.6 | 1,275.8 | 256.5 | 212.5 | -44.0 | 82.8% | 64.0 | 43.1% | 16.7% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,469.6 | 1,506.9 | 6,447.9 | 1,560.4 | 1,581.4 | 21.0 | 101.3% | 74.5 | 4.9% | 24.5% |
| სხვა ხარჯები | 438.9 | 582.8 | 2,220.7 | 533.9 | 505.4 | -28.5 | 94.7% | -77.4 | -13.3% | 22.8% |
| **ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲚᲓᲝ** | **-92.2** | **565.8** | **1,284.7** | **371.4** | **658.5** | **287.1** | **177.3%** | **92.7** | **16.4%** | **51.3%** |
| **ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **435.5** | **510.4** | **3,681.3** | **487.4** | **553.5** | **66.1** | **113.6%** | **43.1** | **8.4%** | **15.0%** |
| ზრდა | 454.3 | 545.3 | 3,881.3 | 515.4 | 583.2 | 67.8 | 113.2% | 37.9 | 7.0% | 15.0% |
| კლება | 18.7 | 34.9 | 200.0 | 28.0 | 29.7 | 1.7 | 106.0% | -5.2 | -14.8% | 14.8% |
| **ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲚᲓᲝ** | **-527.7** | **55.4** | **-2,396.6** | **-115.9** | **105.0** | **221.0** | **-90.6%** | **49.7** | **89.7%** | **-4.4%** |
| **ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **466.2** | **551.5** | **29.2** | **-148.0** | **177.1** | **325.1** | **-119.6%** | **-374.4** | **-67.9%** | **606.3%** |
| ᲖᲠᲓᲐ | 486.2 | 572.0 | 479.2 | 40.9 | 266.8 | 225.9 | 652.5% | -305.2 | -53.4% | 55.7% |
| ვალუტა და დეპოზიტები | 410.0 | 559.7 | 34.1 | 0.0 | 241.4 | 241.4 | | -318.4 | -56.9% | 707.7% |
| სესხები | 76.2 | 12.3 | 445.1 | 40.9 | 25.4 | -15.4 | 62.2% | 13.2 | 107.2% | 5.7% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | 0.0 | | |
| **ᲙᲚᲔᲑᲐ** | **20.0** | **20.5** | **450.0** | **188.9** | **89.7** | **-99.2** | **47.5%** | **69.2** | **337.0%** | **19.9%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 102.4 | 0.0 | -102.4 | 0.0% | 0.0 | | |
| სესხები | 20.0 | 19.8 | 450.0 | 86.5 | 89.7 | 3.2 | 103.8% | 69.9 | 352.3% | 19.9% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | -0.7 | -100.0% | |
| **ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **993.9** | **496.1** | **2,425.8** | **-32.1** | **72.0** | **104.1** | **-224.4%** | **-424.1** | **-85.5%** | **3.0%** |
| **ᲖᲠᲓᲐ** | **1,290.3** | **770.3** | **3,644.3** | **283.0** | **354.4** | **71.4** | **125.2%** | **-416.0** | **-54.0%** | **9.7%** |
| საშინაო | -261.1 | 411.4 | 1,400.0 | 65.0 | 62.8 | -2.2 | 96.6% | -348.6 | -84.7% | 4.5% |
| საგარეო | 1,551.4 | 358.9 | 2,244.3 | 218.0 | 291.6 | 73.6 | 133.8% | -67.3 | -18.8% | 13.0% |
| **ᲙᲚᲔᲑᲐ** | **296.4** | **274.2** | **1,218.5** | **315.1** | **282.4** | **-32.7** | **89.6%** | **8.1** | **3.0%** | **23.2%** |
| საშინაო | 31.7 | 12.9 | 42.9 | 12.9 | 12.6 | -0.3 | 97.8% | -0.2 | -1.7% | 29.4% |
| საგარეო | 264.7 | 261.4 | 1,175.6 | 302.2 | 269.7 | -32.5 | 89.3% | 8.3 | 3.2% | 22.9% |
| **ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | | **0.0** | | |